დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 4

ქ. დმანისი 29 აპრილი 2026 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. სოფიო ასლამაზაშვილი
6. ლერი ბერუაშვილი
7. მურაზი აბრამიშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. ილია სარსევანიძე
11. ნოდარი ადუაშვილი
12. გიორგი გურჩიანი
13. ნატიგ ოვჩიევი
14. სტამბულ ისაევი
15. მიხეილ დაუთაშვილი
16. შალვა ღამბარაშვილი
17. შოთა აკობაშვილი
18. გამლეტ ისმაილოვი
19. ემილ იბრაგიმოვი
20. თეიმურაზ მენაბდიშვილი
21. ირაკლი მუჯირიშვილი
22. აიდინ შარიფოვი
23. შაქირ ჩერპანოვი
24. ლომა გადრანი
25. ლია კავლელაშვილი
26. გოჩა გოჩაძე
27. ვაგიფ მუსაევი
28. ალექსანდრე ნონიაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნატო სამადაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.

სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

სხდომა დაიწყო: 12. 00

სხდომა დასრულდა: 12. 45

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**	
2	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ		
	მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**	
3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ		
	მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**	
4	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	
5	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა - პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	
6	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ		

	მომხსენებელი:	**მ.ოკმელაშვილი**

7	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის/გეგმის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260236 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

8	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტში 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260231 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**

1. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის #2260 განკარგულებით დმანისის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილ რესურსში განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ:

- #2260-1 განკარგულებით თანხა გაიზარდა 13,3 ათასი ლარით, რაც აისახოს შემოსულობების „გრანტი"-ს მუხლში და შესაბამისად გადასახდელების 04_03 „საჯარო სკოლების დაფინანსება"-ს „საქონელი და მომსახურება"-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 637,7 ათასი ლარისა განისაზღვროს 651,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);
- #2260-2 განკარგულებით თანხა გაიზარდა 324,6 ათასი ლარით, რაც აისახოს შემოსულობების „გრანტი"-ს მუხლში და შესაბამისად, გადასახდელების ორგანიზაციული კოდი „საჯარო სკოლების დაფინანსება"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 142,2 ათასი ლარისა განისაზღვროს 466,9 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

2) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2026 წლის 31 მარტის #გ-109.109260902 განკარგულების საფუძველზე, განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- ორგანიზაციული კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლი შემცირდეს 195,4 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია"-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა"-ს მუხლში, და აღნიშნული

მუხლი ნაცვლად 394,7 ათასი ლარისა განისაზღვროს 590,1 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

- ორგანიზაციული კოდი 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 50,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა - რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში, და აღნიშნული მუხლი განისაზღვროს 50,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

3) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის 2026 წლის 20 აპრილის #05-1082611068 მოხსენებითი ბარათის და მერის 2026 წლის 21 აპრილის #108.1082611140 ბრძანების საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „შრომის ანაზღაურება“-ს მუხლიდან ამავე კოდის „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლში გადატანილ იქნეს 10,0 ათასი ლარი და აღნიშნული მუხლი, ნაცვლად 30,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 35,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

4) ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“-ს დირექტორის 2026 წლის 16 მარტის #34-1082607533 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი 01_01_02 „დმანისის მუნიციპალიტეტის მერია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი შემცირდეს 98,5 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილ იქნეს ორგანიზაციული კოდი 03_03 „კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მხლში და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 80,0 ათასი ლარისა განისაზღვროს 178,5 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **37 351,9** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: ალექსანდრე ნონიაშვილი.

2. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N 31 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 24146,4 ათასი ლარს, მათ შორის: გადასახადები 21065,2ათასი ლარი, გრანტები -204,2 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები -2877,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ათჯერ, აქედან საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 და N53 16 იანვრის 2025 წლის განკარგულების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2025 წლის30

ივლისის N1205, N1098, 09/07.2025წ, N1623 06/10.2025წ და N302 30/07.2025წ. განკარგულების საფუძველზე ხუთჯერ, საგადასახადო შემოსავლების ზრდით ერთხელ და შიდა გადაადგილებით სამჯერ, არაფინანსური აქტივების კლებით ორჯერ და სხვა შემოსავლების ზრდით ერთხელ, რომლის შემდგომ წლიური შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 36315,8 ათასი ლარის ოდენობით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 101,2% (გეგმა - 36315,8 ათასი ლარი, ფაქტი -36763,4 ათასი ლარი) ხოლო შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 101,2% (გეგმა 31957,7 ათასი ლარი, ფაქტი 32370,9 ათასი ლარი) მათ შორის:

ა) დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულებულია 101,2%(გეგმა - 19265,2ათასი ლარი - ფაქტი 19503,5ათასი ლარი).

ბ) ქონების გადასახადი 102,6% (გეგმა2200,0ათასი ლარი, ფაქტი 2257,7ათასი ლარი)

გ) გრანტები-სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერები მიღებულია98,9% (გეგმა - 7415,5 ათასი ლარი, ფაქტი - 7337,5ათასი ლარი)

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 106,3% (გეგმა - 3077,0ათასი ლარი, ფაქტი - 3272,2ათასი ლარი).

ე) არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 681,4 ათასი ლარი.ნაცვლად 647,0 ათასი ლარის, ანუ 105,3 %.

ვ) დაგეგმილ ხარჯებში მიმართული იქნა გარდამავალი ნაშთიდან 3711,1 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული თანხები 1588,3 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან 2122,8 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ათვისებულია 91% (გეგმა36306,5ათასი ლარი, ფაქტი 33038,6ათასი ლარი), მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯები 95,9% (გეგმა 6028,4 ათასი ლარი, ფაქტი 5781,0 ათასი ლარი).

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გადასახდელები 85,1% (გეგმა - 17062,7ათასი ლარი, ფაქტი - 14515,5 ათასი ლარი), მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შესრულებულია 83,3% (გეგმა 14382,8 ათასი ლარი ფაქტი-11986,6 ათასი ლარი), ხოლო გრანტის მუხლი შესრულებულია 100%. ორგანიზაციული კოდის მიხედვით შესრულება შეადგენს შემდეგს:

- გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 79,5% (გეგმა 8252,5 ათასი ლარი, ფაქტი 6560,2 ათასი ლარი).

- სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 82,1% (გეგმა-292,1 ათასი ლარი ,ფაქტი - 239,8 ათასი ლარი).

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 93,7% (გეგმა 149,2 ათასი ლარი, ფაქტი 139,8 ათასი ლარი).

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია 93,7% (გეგმა 2751,7 ათასი ლარი, ფაქტი 2578,4 ათასი ლარი).

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია 82,2% (გეგმა 1779,7 ათასი ლარი, ფაქტი 1463,7 ათასი ლარი).

- დასუფთავება და გარემოს დაცვაზე 100% (გეგმა 2705,1 ათასი ლარი,ფაქტი 2704,4 ათასი ლარი).

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები დაფინანსდა 88,9% (გეგმა 2040,1 ათასი ლარი, ფაქტი 1869,4 ათასი ლარი).

- საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურეობა 98,8% (გეგმა 609,3 ათასი ლარი,ფაქტი 549,9 ათასი ლარი).
- საგანმანათლებლო ღონისძიებების გადასახდელები 92,3% % (გეგმა 3097,1 ათასი ლარი, ფაქტი 2857,3ათასი ლარი).
- სპორტიული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები 99% (გეგმა - 3408,1ათასი ლარი, ფაქტი 3374,6 ათასი ლარი).
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის 98,6% (გეგმა -3659,5ათასი ლარი, ფაქტი 3607,2 ათასი ლარი), მათ შორის სოციალური პროგრამები 98,8% (გეგმა 3467,8 ათასი ლარი, ფაქტი 3426,7 ათასი ლარი), ჯანდაცვის პროგრამები 94,2%(გეგმა 191,7ათასი ლარი, ფაქტი 180,5ათასი ლარი).

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემულია 248036 ლარის ოდენობით, მათ შორის: მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარება 232736 ლარი, სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი 15300 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: ალექსანდრე ნონიაშვილი.

3. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N 36 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 27 766,5 ათასი ლარს, მათ შორის: გადასახადები 24 297,2ათასი ლარი, გრანტები -430,7 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები -2988,6 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში სამჯერ, აქედან საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების საფუძველზე და ნაშთების მიმართვით ხარჯების დაფარვისათვის ერთხელ, ხოლო საქართველოს მთავრობის 2026 წლის 11 მარტის N519 განკარგულების საფუძველზე ერთხელ, შიდა გადაადგილებით ერთხელ, რომლის შემდგომ წლიური შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 37 013 9 ათასი ლარის ოდენობით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 90,6% (გეგმა - 11712,1 ათასი ლარი, ფაქტი -10611,8 ათასი ლარი) ხოლო შემოსავლების საკასო შესრულებამ შეადგინა 84,9% (გეგმა 7986,9 ათასი ლარი, ფაქტი 6784,5 ათასი ლარი) მათ შორის:

ა) დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულებულია 96,1%(გეგმა - 5469,3ათასი ლარი - ფაქტი 5256,4ათასი ლარი).

ბ) ქონების გადასახადი 24,5% (გეგმა515,0ათასი ლარი, ფაქტი 126,4ათასი ლარი)

გ) გრანტები-სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერები მიღებულია35,3% (გეგმა - 1286,6 ათასი ლარი, ფაქტი - 453,6ათასი ლარი)

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 132,4% (გეგმა - 716,0ათასი ლარი, ფაქტი - 948,1ათასი ლარი).

ე) არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 102,1 ათასი

ვ) დაგეგმილ ხარჯებში მიმართული იქნა გარდამავალი ნაშთიდან 3702,5 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული თანხები 1308,9 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან 2393,6 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ათვისებულია 66,9% (გეგმა9652,8ათასი ლარი, ფაქტი 6454,6ათასი ლარი), მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯები 80,5% (გეგმა 2145,7 ათასი ლარი, ფაქტი 1727,3 ათასი ლარი).
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გადასახდელები 38,1% (გეგმა - 2970,7ათასი ლარი, ფაქტი - 1002,5 ათასი ლარი), მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შესრულებულია 33,7% (გეგმა 14382,8 ათასი ლარი ფაქტი-11986,6 ათასი ლარი), ხოლო გრანტის მუხლი შესრულებულია 100%. ორგანიზაციული კოდის მიხედვით შესრულება შეადგენს შემდეგს:
- გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 41% (გეგმა 1858,0 ათასი ლარი, ფაქტი 762,7 ათასი ლარი).
- სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 0 (გეგმა-0 ათასი ლარი ,ფაქტი - 0 ათასი ლარი).
- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 61% (გეგმა 20,0 ათასი ლარი, ფაქტი 12,2 ათასი ლარი).
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია 11,6% (გეგმა 743,6 ათასი ლარი, ფაქტი 86,3 ათასი ლარი).
- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია 38,4% (გეგმა 249,8 ათასი ლარი, ფაქტი 95,8 ათასი ლარი).
- დასუფთავება და გარემოს დაცვაზე 100% (გეგმა 2705,1 ათასი ლარი,ფაქტი 2704,4 ათასი ლარი).
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები დაფინანსდა 0% (გეგმა 257,5 ათასი ლარი, ფაქტი 0 ათასი ლარი).
- საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურეობა 99,6% (გეგმა 595,7 ათასი ლარი,ფაქტი 593,1 ათასი ლარი).
- საგანმანათლებლო ღონისძიებების გადასახდელები 81,1% % (გეგმა 984,4 ათასი ლარი, ფაქტი 798,8ათასი ლარი).
- სპორტიული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები 94,2% (გეგმა - 1041,3ათასი ლარი, ფაქტი 980,6 ათასი ლარი).
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის 84,7% (გეგმა -1061,0ათასი ლარი, ფაქტი 898,9 ათასი ლარი), მათ შორის სოციალური პროგრამები 84,8% (გეგმა 1012,2 ათასი ლარი, ფაქტი 858,3 ათასი ლარი), ჯანდაცვის პროგრამები 83,2%(გეგმა 48,8ათასი ლარი, ფაქტი 40,6ათასი ლარი).

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემულია 70100 ლარის ოდენობით, მათ შორის: მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარება 45 000 ლარი, სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი 25 100 ლარი.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: ალექსანდრე ნონიაშვილი.

4. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ამ პროექტთან ერთად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინება „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა - პატრონობისა და ყოლის წესი" (შემდგომში - წესი) რომელიც ადგენს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ღონისძიებებს. წესი, აგრეთვე, განსაზღვრავს შინაური ბინადარი ცხოველებისათვის, როგორც ცოცხალი არსებებისათვის მინიჭებულ ბუნებრივ უფლებებს და მათი დაცვის მექანიზმებს და ამავე წესით ცხოველთა მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოდ განისაზღვრა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შევიდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ წესში მუნიციპალური ინსპექციის ფუნქციებს და უფლება - მოვალეობებს დაემატოს შინაურ ბინადარ ცხოველების მართვის სფეროს განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელება.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: ალექსანდრე ნონიაშვილი.

5. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა - პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ

2025 წლის 02 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ" საქართველოს კანონი (შემდგომში - კანონი), რომლის მიზანია შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი და სათანადო ინსტიტუციების განსაზღვრა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველის თანაარსებობა უსაფრთხო და საიმედო გარემოში. აღნიშნულის მისაღწევად, აუცილებელია გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის მეშვეობით, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების, ხოლო მეორე მხრივ - შინაური ბინადარი ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.

კანონის მიღება აგრეთვე მიზნად ისახავს შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვას. ამასთან, შინაურ ბინადარ ცხოველთა მიკვლევადობის

უზრუნველსაყოფად, კანონპროექტი ითვალისწინებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სავალდებულო იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროცედურის შემოღებას.

კანონის მიხედვით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს ცხოველის მეპატრონის მიერ ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობას, მიმკედლებლის მიერ ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობას, საშენის რეგისტრაციას, უპატრონო/მიკედლებული ცხოველის პოპულაციის მართვასა და ანტირაბიულ ვაქცინაციას, მიკედლებული ცხოველის დაჭერის შესახებ ინფორმაციის მიმკედლებლისთვის შეტყობინებას, უპატრონო/მიკედლებული ცხოველის ლეშის განკარგვას და სხვა უფლებამოსილებებს.

კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტით მუნიციპალიტეტებს დაევალა უზრუნველყონ შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცება ან ამ წესების არსებობის შემთხვევაში მათი ამ კანონთან შესაბამისობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა - პატრონობისა და ყოლის წესი" (შემდგომში - წესი) რომელიც ადგენს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ღონისძიებებს. წესი, აგრეთვე, განსაზღვრავს შინაური ბინადარი ცხოველებისათვის, როგორც ცოცხალი არსებებისათვის მინიჭებულ ბუნებრივ უფლებებს და მათი დაცვის მექანიზმებს.

წესის მიზანს წარმოადგენს შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა და ამასთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრა-მართვა.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: ალექსანდრე ნონიაშვილი.

6. მომხსენებელმა: მაკა ოკმელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2026 წლის სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: ალექსანდრე ნონიაშვილი.

7. მომხსენებელმა: ნატო სამადაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის/გეგმის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის №-109.109260236 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის/გეგმის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260236 განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: ალექსანდრე ნონიაშვილი.

8. მომხსენებელმა: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტში 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260231 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

პუნქტი 1 „ქ. დმანისი შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია"-ის ტენდერის დასრულების შემდგომ დარჩენილი ეკონომიის ნაწილი 31586 ლარი გადატანილი იქნეს დამატებულ პუნქტ 18-ში „ქალაქ დმანისში ნანა დედოფლის N18-ში მდებარე შენობის სახურავის რეაბილიტაცია".

18	ქალაქ დმანისში ნანა დედოფლის N18-ში მდებარე შენობის სახურავის რეაბილიტაცია	შენობა-ნაგებობა	31,586.00	

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა მომხსენებელს ჰკითხა ქ. დმანისში 9 აპრილის ქუჩის დაზიანებული ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყების თარიღის შესახებ. მომხსენებელმა უპასუხა: „აღნიშნული გზის მონაკვეთის რეაბილიტაციაზე მუშაობა დაიწყო 2024 წელს და სრულად განხორციელდა მიწის ქვეშა სამუშაოები. რაც შეეხება მიწის ზედა სამუშაოებს, ტენდერში გამარჯვებული კომპანიას გაეგზავნა გაფრთხილება სამუშაოების დროულად დაწყების მოთხოვნით, ამ ეტაპზე მათგან პასუხი არ მიგვიღია."

ალექსანდრე ნონიაშვილმა მომხსენებელს მიმართა, რომ ქ. დმანისში 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტირებული მონაკვეთის გარკვეული ნაწილები დაზიანდა. მომხსენებელმა უპასუხა, რომ სამუშაოები ჯერ არ არის დასრულებული და მოხდება დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 27

წინაღმდეგი: ალექსანდრე ნონიაშვილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი ტარიელ პაკელიანი

დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2026 წლის სამოქმედო გეგმა				
მიზანი 1.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.			
ამოცანა 1.1.	შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერება.			
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: კანონი , „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს შშმ პირების ხელმისაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.	ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი: შშმ პირების ხელმისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების განხორციელება დაწყებულია ამინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით.		
აქტივობა 1.1.1.	მაგალითად: მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების ადაპტირება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: ადაფტირებულია სულ მცირე 2 შენობა	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო:	
		2026 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	საქართველოს რეგიონების განვითარების ფონდი
	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი პირი: მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.			
	პარტნიორი უწყება:			
აქტივობა 1.1.2.	მაგალითად: მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში შშმ პირთათვის მისაწვდომობის გარანტიების გათვალისწინება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: მუნიციპალიტეტების მიერ გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა, რომლის სატენდერო პირობები ითვალისწინებს მისაწვდომობის სტანდარტის მოთხოვნებს (2 ტენდერი)	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო:	
		2026 წლის მე-4 კვარტალი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	სხვა

<table>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი პირი:
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>აქტივობა
1.1.3</td><td colspan="4">მაგალითად: რეკრეაციული სივრცეების ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

ადაპტირებულია არანაკლებ 2 რეკრეაციული სივრცე</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო:</td></tr>
<tr><td rowspan="2">2026 წლის
მე-4
კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>2026 წლის მე-4
კვარტალი</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი პირი:
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>აქტივობა
1.1.4.</td><td colspan="4">მაგალითად: მუნიციპალური ტრანსპორტის ადაპტირების დაწყება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

საზოგადოებრივი ტრანსპორტის არანაკლებ ერთ ხაზზე დამოტაჟებული ხმოვანი სისტემა გაჩერების შეტყობინებისთვის
ან
საზოგადოებრივი ტრანსპორტის არანაკლებ ერთ ხაზზე ავტობუსში დამონტაჟებულია მორბენალი სტრიქონი გაჩერებების შეტყობინებისათვის.</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო:</td></tr>
<tr><td rowspan="2">2026 წლის
მე-4
კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>2026 წლის მე-4
კვარტალი</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი პირი:
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>აქტივობა
1.1.5</td><td colspan="4">მაგალითად: მუნიციპალიტეტებში ე.წ. „ჭკვიანი" შუქნიშნების დამონტაჟება</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
დამონტაჟებულია ე.წ. „ჭკვიანი" შუქნიშნები მინიმუმ ერთ ქუჩაზე/გზაჯვარედინზე.</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო:</td></tr>
<tr><td rowspan="2">2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულების ვადა</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>2026 წლის მე-4 კვარტალი</td></tr>
<tr><td>დაფინანსების წყარო:</td><td>შესრულების ვადა</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი პირი:
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>აქტივობა
1.1.6</td><td colspan="4">მაგალითად: მუნიციპალიტეტებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
2 ცალი ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო:</td></tr>
<tr><td rowspan="2">2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულების ვადა</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულების ვადა</td></tr>
<tr><td>დაფინანსების წყარო:</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი პირი:
მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.2</td><td colspan="4">შშმ პირთა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაზრდა</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:
,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი ითვალსწინებს შშმ პირების სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობას ადმინისტრაციული ორგანოში ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე (4 შეკრება)</td><td colspan="2">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:
შშმ პირების სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერა დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარების გზით.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>აქტივობა
1.2.1</td><td colspan="4">მაგალითად: მასობრივი სპორტის ღონისძიებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობის წახალისება</td></tr>
<tr><td></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
მასობრივი სპორტის ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო მინიმუმ 1 - მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა.</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო:</td></tr>
<tr><td rowspan="2">2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულების ვადა</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულების ვადა</td></tr>
<tr><td>დაფინანსების წყარო:</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი პირი:
მერიის განათლების,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:
ა(ა)იპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“, ა(ა)იპ ,,დმანისის კულტურის ცენტრი.</td></tr>
<tr><td>აქტივობა
1.2.2</td><td colspan="4">მაგალითად: კულტურული ან/და ტრადიციული თვისებურებების გათვალისწინებით, სხვადასხვა ღონისძიებებში შშმ პირების ან/და მისი ოჯახის წევრების ერთობლივი მონაწილეობით, ჩართულობის წახალისება</td></tr>
<tr><td></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
ჩატარებულია მინიმუმერთი ღონისძიება, სადაც მონაწილეობა მიიღო არანაკლებ 4 -მა შშმ პირმა</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო:</td></tr>
<tr><td rowspan="2">2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულების ვადა</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულების ვადა</td></tr>
<tr><td>დაფინანსების წყარო:</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი პირი:
მერიის განათლების,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:
ა(ა)იპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“, ა(ა)იპ ,,დმანისის კულტურის ცენტრი; ,,დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო“</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.3</td><td colspan="4">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის გარანტიების გაძლიერება</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:
წლის განმავლობაში მიმდინარეობს მუნიციპალური პროგრამებით მოსარგებლე შშმ პირთა რაოდენობის აღრიცხვა</td><td colspan="2">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:
მუნიციპალიტეტს აქვს ინფორმაცია წლის განმავლობაში მუნიციპალური პროგრამებით მოსარგებლე შშმ პირთა რაოდენობის შესახებ</td></tr>
<tr><td>აქტივობა
1.3.1</td><td colspan="4">მაგალითად: მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვება</td></tr>
</table>

	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის მიერ, 2026 წელს მოქმედი მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შშმ ბენეფიციართა აღრიცხვა და მონაცემების დამუშავება.	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო:	
		2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულების ვადა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულების ვადა
			დაფინანსების წყარო:	
	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი პირი: მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური; ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის განყოფილება			
	პარტნიორი უწყება:			
მიზანი **2.**	საზოგადოების და მუნიციპალიტეტების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება/შესაძლებლობების გაძლიერება შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე			
ამოცანა **2.1.**	მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის საინფორმაციო შეხვედრების/სასწავლო ღონისძიებების/ტრენინგების ჩატარება შშმ პირთა უფლებებსა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტებზე			
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალსწინებული პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა, ადმინისტრაციული ორგანოში ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.	ამოცანის საბოლოო მაჩვენებლი: შშმპირების საკითხებზე თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით.		
აქტივობა **2.1.1.**	მაგალითად: მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების მიზნით თანამშრომლების გადამზადება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: გადამზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის არანაკლებ 9 პირი	შესრულების ვადა	დაფინანსების წყარო:	
		2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულები ს ვადა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	2026 წლის მე-4 კვარტალი შესრულების ვადა
			დაფინანსების წყარო:	
	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი პირი: მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური; ბავშვზე ზრუნვისა და მხარდაჭერის განყოფილება			
	პარტნიორი უწყება:			

დანართი

დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების წუსხა/გეგმა

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა კვ.მ	საბაზრო ღირებულება (ლარში)	აუქციონის ფორა (უპირობო/პირობიანი)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი	შენიშვნა
1	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. კიზილქილისა	82.11.41.008	222	92.2	11440	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
2	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი	82.01.46.807	2445		122250	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
3	სასოფლო-სამურნეო (სათიბი)	ქ. დმანისი	82.01.42.951	276		12420	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
4	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტის ს. ქვემო ოროზმანი	82.14.42.436	1873		14984	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
5	სასოფლო-სამურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. შინდლარი	82.10.42.152	20000		30000	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
6	სასოფლო-სამურნეო (სახნავი)	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. შინდლარი	82.10.42.153	20000		30000	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
7	მეორადი გამოყენების ხიდი	მდებარე ქ. დმანისი 9 აპრილის ჩიხი N4				5139	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
8	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი საფარლო	82.15.41.821	3602		28816	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
9	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	დმანისის მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო კარაბულახი	82.07.47.899	2457		12285	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
10	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვარდისუბანი, I-ლი ქუჩის I შესახვევი, N 14	82.12.48.568	13128	ნანგრევი 555 კვ.მ	31806	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
11	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქუჩა	82.01.46.1005	1902	N1 -485 კვ.მ, N2-53 კვ.მ	144165	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
12	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	ქ. დმანისი	82.01.47.080	30000		60000	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	
13	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი ს. საფარლო	82.15.41.063	240	157.25	14980	უპირობო	წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	